



კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის

წესდება

2020 წელი

## თავი I

### სახელწოდება და ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.1 სახელწოდება** - ქართულად: „კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის“ ინგლისურად: “Coalition for Early Childhood Development”.

#### **მუხლი 1.2 ზოგადი დებულებები**

- 1.2.2. კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის (შემდგომში კოალიცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 1.2.3. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.2.4. საზოგადოების სახელწოდება: ა.ა.ი.პ. „კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის“
- 1.2.5. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 1.2.6. კოალიცია მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების და ამ წესდების შესაბამისად.
- 1.2.7. კოალიციის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 2, ბინა 10.
- 1.2.8. კოალიციის ელექტრონული ფოსტა: [eci.coalition@gmail.com](mailto:eci.coalition@gmail.com).
- 1.2.9. კოალიცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.
- 1.2.10. კოალიციას გააჩნია საკუთარი ქონება, აგრეთვე ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში. კოალიცია უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგოს მისი აქტივები საქართველოს კანონმდებლობის და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო/ეკონომიკურ საქმიანობაში კოალიციის ამოცანების განხორციელების მიზნით, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე არბიტრაჟსა და სასამართლოში წარმოების ნებისმიერ სტადიაზე.
- 1.2.11. კოალიცია თავისი დამფუძნებელი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისგან დამოუკიდებელია. კოალიციის ქონება შემოიფარგლება მისი ქონებით. კოალიციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე, არ აგებს პასუხს კოალიცია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) პირადი ვალდებულებებისათვის.
- 1.2.12. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

## თავი II კოალიციის მიზნები და მიმართულებები

### **2. კოალიციის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები**

კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის, არის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული, ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, საქართველოში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანება, რომლის მიზანია ბავშვთა ადრეული ინტერვენციის ეროვნული სისტემის განვითარება საქართველოში.

## საქმიანობა

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის:

ბავშვის განვითარების და ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახების:

- უფლებების ადვოკატირება;
- განვითარების საჭიროებების გამოვლენა, შესაბამისი სერვისების შექმნა და არსებულის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ინფორმირების ამაღლება ბავშვის განვითარებისა და ადრეული ინტერვენციის მნიშვნელობის შესახებ;
- საგანმანათლებლო, სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამების განვითარებისა და რეფერირების ხელშეწყობა;
- ადრეული ინტერვენციის სპეციალისტთა პროფესიული სტანდარტების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და დანერგვა;
- ადრეული ინტერვენციის და სხვა შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის ქვეყნის ცენტრიდან მოშორებულ და მაღალმთიან რაიონებში;
- ადრეული ინტერვენციის და ბავშვთა განვითარების სფეროში კვლევების წარმოება;
- ადრეული ინტერვენციის და ბავშვთა განვითარების სფეროში საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ადრეული ინტერვენციის ეროვნული სისტემის შექმნის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

## თავი III წევრობა

### მუხლი 3.1 კოალიციის დამფუძნებელი წევრები

კოალიციის დამფუძნებელი წევრები არიან კოალიციის პირველი საერთო კრების მონაწილე ორგანიზაციები, რომელთაც გამოთქვეს კოალიციის შექმნისა და მისი წევრობის სურვილი:

- 3.1.1 საქართველოს ა. ლაჭყებიანის სახელობის ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაცია, ს/ნ 202168992, რეგისტრირებული 20/10/2000, მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/8;
- 3.1.2 ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია, ს/ნ 405075760, რეგისტრირებული 16/12/2014, მისამართი: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 2, ბ. 91;
- 3.1.3 ნეიროგანვითარების ცენტრი, ს/ნ 202056372, რეგისტრირებული 15/12/1997, მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6;
- 3.1.4 საქართველოს პორტიჯის ასოციაცია, ს/ნ 204996193, რეგისტრირებული 7/10/2002, მისამართი: თამარაშვილის 9, ბინა 5;
- 3.1.5 აბილიტაციის და განვითარების ცენტრი, ს/ნ 445453376, რეგისტრირებული 01/12/2014, მისამართი: ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილი 9 ბ, 23;
- 3.1.6 ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის, ს/ნ 412700439, რეგისტრირებული 16/06/2014, მისამართი: ქუთაისი, დ. აღმაშენებლის 27 ბ15;
- 3.1.7 პირველი ნაბიჯი საქართველო, ს/ნ 202061838, რეგისტრირებული 6/11/1998, მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის 150;
- 3.1.8 ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში–თბილისი“, ს/ნ 205077584, რეგისტრირებული 22/04/2005, მისამართი: ყაზბეგის გამზირი 7;
- 3.1.9 ექიმები ადამიანის უფლებებისთვის - საქართველო, ს/ნ 405076554, რეგისტრირებული 23/12/2014, მისამართი: თბილისი, ლ. გოთუას ქ. 20;
- 3.1.10 რეგისტრირებული კავშირი "საქართველოს ბავშვები", ს/ნ 204506221, რეგისტრირებული 18/04/2006, მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 40ა;

- 3.1.11 საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია, ს/ნ 231241947, რეგისტრირებული 28/06/2000, მისამართი: თელავი, ფალიაშვილის ქ. N 20;
- 3.1.12 კოალიცია "სოციალური რეფორმებისათვის", ს/კ 415087462, რეგისტრირებული 25/02/2013, მისამართი: ქ. ფოთი წმ. გიორგის 56;
- 3.1.13 ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ს/კ 204472720, რეგისტრირებული 09/03/2005, მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. №23.

**მუხლი 3.2. წევრობის და ასოცირებული წევრობის წინაპირობები**

- 3.2.1 კოალიციის წევრი ან ასოცირებული წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანიზაცია რომელიც არის: ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მიმწოდებელი, მშობელთა ასოციაცია, ფედერაცია, პროფესიული ინსტიტუტი, პროფესიული ასოციაცია, აკადემიური ინსტიტუტი/სასწავლებელი, მედია საშუალება, რომელიც მხარს უჭერს და იზიარებს კოალიციის მიზნებს და ამოცანებს. კოალიციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაცია რომელიც იზიარებს ამ დოკუმენტის მეორე თავში ასახულ საერთო მიზნებს, მიმართულებებს, გამოხატავს მზაობას კოალიციის სხვა წევრებთან თანამშრომლობაზე კოალიციის საერთო მიზნების მისაღწევად, აქვს გამოხატული ინტერესი ან/და სათანადო გამოცდილება ადრეული ასაკის ბავშვთა და მათი ოჯახების ჯანმრთელობის, უფლებების, განათლებისა და სოციალური დაცვის საკითხებზე მუშაობის, ბავშვთა ადრეული ინტერვენციის, განვითარებისა და განათლების მომსახურების განხორციელების, ბავშვთა ადრეული ინტერვენციისა და განვითარების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისა და პროფესიონალების მომზადების საკითხებში; იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა და მიზნები არ არის დისკრიმინაციული საზოგადოების არც ერთი ჯგუფის მიმართ (მათ შორის რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური, სექსუალური და ა. შ.).
- 3.2.2 კოალიციის პირველი წევრები არიან ა.ა.ი.პ. კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის დამფუძნებლები.
- 3.2.3 კოალიციის წევრი შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია, კოალიციის საქმიანობის მიზნებისა და ძირითადი მიმართულებების შესაბამისი საქმიანობის, მინიმუმ, 3 (სამ) წლიანი გამოცდილება;
- 3.2.4 კოალიციის ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია, კოალიციის საქმიანობის მიზნებისა და ძირითადი მიმართულებების შესაბამისი სერვისების განხორციელების სულ მცირე 6 (ექვს) თვიანი გამოცდილება;
- 3.2.5 კოალიცია ღიაა ახალი წევრებისთვის. დაინტერესებულმა ორგანიზაციამ, რომელსაც სურს კოალიციის წევრობა ან ასოცირებული წევრობა, განცხადებით უნდა მიმართოს მმართველ კომიტეტს. მმართველი კომიტეტი განიხილავს გაწვევრიანებაზე განაცხადებს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს კოალიციის სულ მცირე 2 (ორი) დამფუძნებელი წევრის დასაბუთებული რეკომენდაცია და იღებს გადაწყვეტილებას დაინტერესებული ორგანიზაციის კოალიციის წევრ ან ასოცირებულ წევრად მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 3.2.6 წევრობაზე განაცხადის ფორმას შეიმუშავებს კოალიციის საერთო კრება.
- 3.2.7 ორგანიზაცია კოალიციაში წევრ ან ასოცირებულ წევრად მიღებულად ითვლება თუ მის განაცხადს მხარს დაუჭერს მმართველი კომიტეტის წევრთა უბრალო უმრავლესობა.

**მუხლი 3.3. წევრების და ასოცირებული წევრების უფლებამოსილებანი**

- 3.3.1 კოალიციის წევრი სრულფასოვნად იღებს მონაწილეობას კოალიციის მუშაობაში, ფლობს ხმის უფლებას საერთო კრებაზე და იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში;
- 3.3.2 კოალიციის ასოცირებული წევრი სრულფასოვნად იღებს მონაწილეობას კოალიციის მუშაობაში, თუმცა საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობს და კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ კოალიციის საერთო სტრატეგიის, სექტორული სტრატეგიების (მათ შორის ლობირებისა და ადვოკატირების, ფონდების მოძიებისა და მოზიდვის, საზოგადოების ჩართულობის და მონიტორინგის სტრატეგიის) და შესაბამისი სამოქმედო გეგმების დამტკიცებისას;
- 3.3.3 კოალიციის ასოცირებულ წევრს, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, შეუძლია მიმართოს კოალიციის - მმართველ კომიტეტს ნამდვილ წევრად მიღების მოთხოვნით. მმართველი კომიტეტი ასოცირებული წევრის წევრად მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 3.4. კოალიციის წევრების სარგებელი და შეზღუდვები**

- 3.4.1 კოალიციის წევრი, გარდა სხვა სარგებელისა, კოალიციის წევრობით შეძლებს ორგანიზაციის, როგორც ბავშვთა ადრეული განვითარების ორგანიზაციად აკრედიტაციას, წვლილი შეიტანოს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის ეროვნული სისტემის გაუმჯობესებასა და გაფართოებაში, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტიპის ტრენინგში სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ჩაერთოს კონფერენციებში, შეხვედრებში, გაცვლით პროგრამებში, მისთვის ხელმისაწვდომი იყოს კოალიციის მასალები, დოკუმენტები და ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს კოალიციის ვებგვერდის წევრების განყოფილებაში.
- 3.4.2 კოალიციის ასოცირებული წევრი, გარდა სხვა სარგებელისა, კოალიციის ასოცირებული წევრობით შეძლებს წვლილი შეიტანოს ბავშვთა ადრეული განვითარების ეროვნული სისტემის გაუმჯობესებასა და გაფართოებაში, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტიპის ტრენინგში, კონფერენციებში, შეხვედრებში, გაცვლით პროგრამებში, მისთვის ხელმისაწვდომი იყოს კოალიციის მასალები, დოკუმენტები და ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს კოალიციის ვებგვერდის წევრების განყოფილებაში.
- 3.4.3 კოალიციის სახელით გრანტის განაცხადის შეტანისას წევრ ან ასოცირებულ წევრ ორგანიზაციას მმართველ კომიტეტთან შეთანხმების გარეშე ეზღუდება საკუთარი ორგანიზაციის სახელით იმავე საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია წერილობითი სახით ინფორმაციას აწვდის მმართველ კომიტეტს სამომავლო ქმედების განსახილველად.
- 3.4.4 იმ შემთხვევაში თუ კოალიციის წევრი ან ასოცირებული წევრი ორგანიზაცია თავისი ორგანიზაციის სახელით ასევე იღებს მონაწილეობას საგრანტო კონკურსში, ასეთი ორგანიზაციის წარმომადგენელს, შესაბამისად ამ წევრ ორგანიზაციას, არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კოალიციის სახელით კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე კენჭისყრაში და გადაწყვეტილების მიღებაში, აგრეთვე, საგრანტო განაცხადის შემუშავებაში.
- 3.4.5 კოალიციის წევრები, იმ შემთხვევაში, თუ ზედიზედ ორჯერ არ გადაიხდიან საწევროს, ან /და არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდებიან საერთო კრებაზე ზედიზედ ორჯერ, საერთო კრების გადაწყვეტილებით კარგავენ კოალიციის კრებაზე ხმის მიცემის უფლებას. საერთო კრება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს მმართველი კომიტეტის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე. საერთო კრება უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტოს დისციპლინური სახდელის ზომა და საჭიროების საკითხი.
- 3.4.6 საწევროს გადაუხდელობის გამო, ხმის მიცემის უფლება აღდგება მას შემდეგ, რაც სრულად დაიფარება კოალიციის წინაშე არსებული ვალდებულება.
- 3.4.7 საერთო კრების არასაპატიო გაცდენასთან დაკავშირებით, ხმის მიცემის უფლების აღდგენაზე, კოალიციის წევრმა უნდა მიმართოს მმართველ კომიტეტს, რომელიც მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით).

**მუხლი 3.5. კოალიციის წევრის ვალდებულებები**

კოალიციის წევრი და ასოცირებული წევრი ვალდებულია:

- 1. პატივი სცეს კოალიციის მიზნებსა და ამოცანებს;
- 2. დაიცვას და შეასრულოს კოალიციის წესდება;
- 3. რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა კოალიციის და მისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

**მუხლი 3.6 წევრობის შეწყვეტა**

3.6.1. ორგანიზაციის კოალიციაში წევრობა შეიძლება შეწყდეს:

- 3.6.1.1. წევრი ორგანიზაციის პირადი ინიციატივით, შესაბამისი წერილობითი განაცხადებით საერთო კრებისათვის მიმართვის საფუძველზე; წევრობა შეწყვეტილად ითვლება მას შემდეგ, რაც ეს ორგანიზაცია კოალიციის მიმართ თავის ვალდებულებებს ბოლომდე შეასრულებს.
- 3.6.1.2. საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუკი დადგინდა, რომ კოალიციის წევრი ან ასოცირებული წევრი ორგანიზაცია არ იხდის საწევრო გადასახადს ზედიზედ ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, წევრ ორგანიზაციას აქვს ღირებულებათა კონფლიქტი კოალიციის მიზნებთან და საქმიანობასთან ან/და ორგანიზაცია რეგულარულად (ერთი წლის მანძილზე) არ მონაწილეობს კოალიციის საქმიანობაში ან/და წინამდებარე წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისას, რაც ხელს შეუშლის კოალიციის საქმიანობისა და მიზნების განხორციელებას ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. წევრობის შეწყვეტის შესახებ საერთო კრება

გადაწყვეტილებას იღებს მმართველი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე.

3.6.2. ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტა ხდება კოალიციის საერთო კრების მიერ ფარული კენჭისყრის საფუძველზე, დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

#### **თავი IV** **კოალიციის მართვა**

##### **მუხლი 4.1 საერთო კრების უფლებამოსილებები და გადაწყვეტილების მიღების წესი**

- 4.1.1 კოალიციის უმაღლეს ხელმძღვანელობითი და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს კოალიციის საერთო კრება.
- 4.1.2 საერთო კრება შედგება კოალიციის დამფუძნებელი და შემდგომში მიღებული წევრის და ასოცირებული წევრი ორგანიზაციებისგან. თითოეული წევრი საერთო კრებაზე წარმოდგენილია მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.
- 4.1.3 საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ღია და ფარული კენჭისყრის გზით და მასში მონაწილეობის უფლება აქვს კოალიციის დამფუძნებელ და სხვა წევრ ორგანიზაციებს.
- 4.1.4 კოალიციის ასოცირებულ წევრებს საერთო კრებაზე შეუძლიათ აზრის გამოხატვა და დაფიქსირება, თუმცა კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ ამ წესდების 3.3.2. მუხლში მითითებული საკითხების განხილვისას;
- 4.1.5 საერთო კრება იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
- 4.1.6 საერთო კრების მოწვევის ინიციატორები შეიძლება იყვნენ :
  1. მმართველო კომიტეტის თავმჯდომარე;
  2. მმართველი კომიტეტის წევრთა მესამედზე მეტი;
  3. კოალიციის წევრთა ერთი მესამედი .
- 4.1.7 საერთო კრება მოიწვევა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ყველა წევრის სახელზე მოსაწვევების გაგზავნით.
- 4.1.8 საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება შესაძლებელია სხვა წევრებისათვის მიწოდებულ იქნას:
  1. დაზღვეული წერილით;
  2. პირადად ჩაბარდეს ადრესატს;
  3. გაეგზავნოს ელ-ფოსტის მეშვეობით;
  4. ტელეფონის მეშვეობით;
- 4.1.9 მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს საერთო კრების ჩატარებამდე სულ მცირე 10 კალენდარული დღით ადრე. შეტყობინებაში უნდა მითითდეს კრების ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი.
- 4.1.10 საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება კოალიციის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ დამფუძნებელ წევრთა უმრავლესობისა. წევრს უფლება აქვს კრების საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის მეშვეობით.
- 4.1.11 თუკი კრება არ არის გადაწყვეტილების უნარიანი, იგივე დღის წესრიგით და იგივე წესით მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც გადაწყვეტილების უნარიანია, თუკი მას ესწრება წევრთა 1/3-ზე მეტი.
- 4.1.12 კოალიციის მიზნებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე კრება, რომლის მოწვევის ინიცირების უფლება აქვს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეს, მმართველი კომიტეტის წევრთა მესამედს ან კოალიციის წევრთა 1/3-ს.
- 4.1.13 რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მმართველი კომიტეტის მიერ და მასზე ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული რიგითი სხდომის მოწვევის და ჩატარების პროცედურები.
- 4.1.14 საერთო კრება ტარდება კოალიციის ფაქტობრივ მისამართზე, თუ მოწვევის შეტყობინებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 4.1.15 საერთო კრებაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით აირჩევა კრების თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
- 4.1.16 საერთო კრება უფლებამოსილია, დამსწრე წევრთა 2/3-ის თანხმობით, მაგრამ არანაკლებ დამფუძნებელ წევრთა უმრავლესობისა:
  1. დაამტკიცოს ან გააუქმოს კოალიციის წესდება ან ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მასში;

2. მიიღოს გადაწყვეტილება მმართველი კომიტეტის წინადადების საფუძველზე კოალიციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ;
  3. დააფუძნოს ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 4.1.17 საერთო კრება უფლებამოსილია დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, და ფარული კენჭისყრით:
1. მიიღოს გადაწყვეტილება წევრის კოალიციიდან გარიცხვის შესახებ;
  2. აირჩიოს და გაათავისუფლოს მმართველი კომიტეტის წევრები;
  3. მმართველი კომიტეტის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე განსაზღვროს კოალიციის წევრისთვის დისციპლინური სახდელის ზომას;
- 4.1.18 საერთო კრება უფლებამოსილია დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ დამფუძნებელ წევრთა უმრავლესობისა:
1. დაამტკიცოს კოალიციის საერთო სტრატეგია, სექტორული სტრატეგიები (მათ შორის ლობირებისა და ადვოკატირების, ფონდების მოძიებისა და მოზიდვის, საზოგადოების ჩართულობის და მონიტორინგის სტრატეგია) და შესაბამისი სამოქმედო გეგმები;
  2. განსაზღვროს მმართველი კომიტეტის წევრებთან ან სხვა პირებთან დასადები ხელშეკრულების პირობები;
  3. შეიმუშავოს და დაამტკიცოს კოალიციის ადმინისტრაციული და ტექნიკური სტრუქტურა, შეიმუშავოს სექტორული ჯგუფების აღწერილობა, ინსტრუმენტები და პროტოკოლები კოალიციის სტრატეგიის ეფექტიანობის შემოწმებისთვის;
  4. აირჩიოს საერთო კრების თავმჯდომარე;
  5. მიიღოს გადაწყვეტილება წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

**მუხლი 4.2. საერთო კრების თავმჯდომარე და მდივანი**

- 4.2.1 საერთო კრების თავმჯდომარეს კოალიციის დამფუძნებელი წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან 2 წლის ვადით ირჩევს კოალიციის საერთო კრება;
- 4.2.2 საერთო კრების თავმჯდომარე:
1. საერთო კრებას აუწყებს სხდომის დაწყებასა და დამთავრებას;
  2. უძღვება წევრთა საერთო კრებას;
  3. განსაზღვრავს სიტყვით გამომსვლელთა რიგითობას;
  4. კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს მის შედეგებს;
  5. ხელს აწერს კრების ოქმს და ახორციელებს წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- 4.2.2. საერთო კრების მდივანი აწარმოებს კრების ოქმს, ხელს აწერს მას და ახორციელებს წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
1. კრების ოქმში უნდა აისახოს: კრების ჩატარების დრო და ადგილი; კრების თავმჯდომარის და მდივნის ვინაობა; კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა და ვინაობა; კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილებები.

**მუხლის 4.3. კოალიციის მმართველი კომიტეტი**

- 4.3.1 კოალიციის ხელმძღვანელი ორგანოა მმართველი კომიტეტი, რომელიც შედგება კოალიციის დამფუძნებელი წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელი 7 (შვიდი) და კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელი 2 (ორი) წევრისგან;
- 4.3.2 მმართველი კომიტეტის წევრად კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს კოალიციის დამფუძნებელი და წევრების წარმომადგენლებს;
- 4.3.3 მმართველი კომიტეტის წევრები აირჩევიან და ინიშნებიან საერთო კრების მიერ ფარული კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით, სამი წლის ვადით. მმართველი კომიტეტის წევრის უფლებამოსილება გრძელდება ახალი შემადგენლობის არჩევამდე.
- 4.3.4 მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეს, მმართველი კომიტეტის წევრთაგან სამი წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს მმართველი კომიტეტის წევრთა უბრალო უმრავლესობა.
- 4.3.5 თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მმართველი კომიტეტის ყველა წევრს. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილება გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.
- 4.3.6 მმართველი კომიტეტის სხდომები იმართება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ. სხდომის მოსაწვევები იგზავნება არანაკლებ 5 დღით ადრე სხდომის ჩატარების თარიღამდე და შეიცავს დღის წესრიგს.
- 4.3.7 მმართველი კომიტეტი უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება 7 წევრი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის

- გათვალისწინებული. ხმების გაყოფის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას.
- 4.3.8 მმართველი კომიტეტის სხდომის თარიღს ნიშნავს და მმართველი კომიტეტის წევრების მოწვევას უზრუნველყოფს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე
- 4.3.9 მმართველი კომიტეტის სხდომა ტარდება კოალიციის ფაქტობრივ მისამართზე თუ მოწვევის შეტყობინებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 4.3.10 კოალიციის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება ჩატარდეს მმართველი კომიტეტის რიგგარეშე სხდომა. რიგგარეშე სხდომის ჩატარების ინიცირების უფლება აქვს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეს ან მმართველი კომიტეტის 3 წევრს. რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე ვრცელდება ამ მუხლით გათვალისწინებული რიგითი სხდომის მოწვევის და ჩატარების პროცედურები.
- 4.3.11 მმართველი კომიტეტის წევრები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უნდა დაესწონ სხდომას. თუ რომელიმე წევრს ფიზიკურად არ შეუძლია სხდომაზე დასწრება, მას დღის წესრიგში შემავალ საკითხებზე შეუძლია აზრი გამოთქვას და ხმა მისცეს ელექტრონული კომუნიკაციის (დისტანციურად ჩართვა ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, მეილი, ფაქსი და სხვა) მეშვეობით, რომლის შესახებაც მან სხდომამდე წერილობით უნდა აცნობოს თავმჯდომარეს.
- 4.3.12 მმართველი კომიტეტის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (ვიდეოტრანსლიცია, სკაიპი, ჩატი, ელ-ფოსტა და სხვა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროცედურით სხდომის ჩატარების შესახებ წინასწარ თანხმობას გამოთქვამს მმართველი კომიტეტის ყველა წევრი.
- 4.3.13 მმართველი კომიტეტის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრის ხელმოწერა.
- 4.3.14 მმართველი კომიტეტის ყველა წევრის ხელმოწერა საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება საჭიროებს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებას. მმართველი კომიტეტის სხდომის ელექტრონული ფორმით ჩატარების შემთხვევაში ნოტარიულად დასამოწმებელი გადაწყვეტილებების დროს ყველა წევრის ნაცვლად ხელს აწერს თავმჯდომარე წევრების მიერ მასზე გაცემული მინდობილობების საფუძველზე.
- 4.3.15 მმართველი კომიტეტის უბრალო უმრავლესობით და ფარული კენჭისყრით:  
1. ირჩევს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეს.
- 4.3.16 მმართველი კომიტეტის უბრალო უმრავლესობით:  
1. იღებს გადაწყვეტილებას დაინტერესებული ორგანიზაციის კოალიციის წევრად ან ასოცირებულ წევრად მიღების შესახებ, ასევე ასოცირებული წევრის წევრად მიღებასთან დაკავშირებით;  
2. წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას;  
3. შეიმუშავებს კოალიციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად, უზრუნველყოფს კოალიციის წევრებისათვის ამ პროექტის ხელმისაწვდომობას კრებამდე ერთი თვით ადრე;  
4. შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კოალიციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს;  
5. განსაზღვრავს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის ფუნქციებსა და უფლებამოსილების სფეროს, ახორციელებს მეთვალყურეობას და კონტროლს მის საქმიანობაზე;  
6. ირჩევს და ათავისუფლებს საკონსულტაციო საბჭოს წევრებს;  
7. უზრუნველყოფს კოალიციის სახელფასო ფონდის და საშტატო განრიგის დამტკიცებას;  
8. უფლებამოსილია მოითხოვოს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარისგან ანგარიშის წარდგენა ნებისმიერ დროს;  
9. ამოწმებს კოალიციის საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს, ფინანსურ ანგარიშგებებს, თავად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით;  
10. განიხილავს და ამტკიცებს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მომზადებულ ანგარიშგებას კოალიციის საქმიანობის შესახებ, ასევე ფინანსურ ანგარიშგებებს;  
11. ამტკიცებს კოალიციის შინაგანაწესს, შიდა კონტროლისა და პროცედურული საკითხების მარეგულირებელ დოკუმენტებს;  
12. უზრუნველყოფს დამტკიცებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.



13. კოალიციის სტრატეგიის შესაბამისად ქმნის სექტორულ ჯგუფებს, რომლის მიმართულებები შეიძლება შეიცვალოს საჭიროების მიხედვით.
14. უზრუნველყოფს კონტროლს კოალიციის საწევრო შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით. წარუდგენს დასკვნას კოალიციის საერთო კრებას, წევრი და ასოცირებული წევრების მიერ შენატანის განხორციელებლობის შესახებ.
15. კოალიციის წევრი ორგანიზაციის მიერ 3.4 მუხლის 5 პუნქტის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასკვნას წარუდგენს საერთო კრებას ხმის უფლების შეჩერების შესახებ;
16. იღებს გადაწყვეტილებას კოალიციის წევრისათვის ხმის უფლების აღდგენის შესახებ;
17. იღებს გადაწყვეტილებას კოალიციის ფარგლებში მომზადებული პროდუქტების კოალიციის სახელით საჯაროდ გავრცელების შესახებ;
18. იღებს გადაწყვეტილებას საწევრო გადასახადისაგან კოალიციის წევრის დროებით გათავისუფლების შესახებ;
19. წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა კომპეტენციას

4.3.17. მმართველი კომიტეტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება

1. წერილობითი განცხადების საფუძველზე;
2. პირის გარდაცვალებისას;
3. სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას, რომელიც წევრის მიერ კოალიციის ფარგლებში საქმიანობის შესაძლებლობას გამოიცხავს;
4. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
5. კანონმდებლობით და წესდებით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

**მუხლი 4.4. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებები**

4.4.1 მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე:

1. მოქმედებს კოალიციის სახელით და წარმოადგენს კოალიციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
2. უზრუნველყოფს მმართველი კომიტეტის სხდომის მოწვევას და ჩატარებას;
3. შეიმუშავებს მმართველი კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს;
4. უძღვება მმართველი კომიტეტის სხდომის მიმდინარეობას, მისი არყოფნის შემთხვევაში მმართველი კომიტეტის სხდომას უძღვება მმართველი კომიტეტის სხვა ნებისმიერი წევრი;
5. მმართველი კომიტეტის სახელით ხელს აწერს მმართველი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
6. ინფორმირებული ან ჩართული უნდა იყოს კოალიციის სახელით რომელიმე წევრის(ების) მიერ ფონდების მოძიებისა და მოზიდვის ღონისძიებებში (განაცხადების შემუშავებაში).
7. მმართველი კომიტეტის და საერთო კრების მიერ დადგენილი წესით განკარგავს ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს. პასუხისმგებელია მათ სწორად გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტაციას;
8. მმართველი კომიტეტთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს;
9. უზრუნველყოფს კოალიციის ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზებას;
10. ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

4.4.2 მმართველი კომიტეტის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, რომელიც თანახმაა, რომ იყოს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე.

4.4.3. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს და ამტკიცებს მმართველი კომიტეტი და ის ანგარიშვალდებულია მმართველი კომიტეტისა წინაშე.

4.4.4. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთი და იმავე კანდიდატის არჩევა შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით.

4.4.5. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია წარუძღვოს კოალიციის საქმიანობას გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით, მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების საფუძველზე.

4.4.6 მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება: 1. საკუთარი განცხადების საფუძველზე; 2. გარდაცვალებისას; 3. უფლებამოსილების ვადის გასვლით; 4. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას; 5. სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას, რომელიც მის მიერ კოალიციის ფარგლებში საქმიანობის შესრულების შესაძლებლობას გამოიცხავს; 6. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

#### **მუხლი 4.5 სამუშაო / საინიციატივო ჯგუფები**

- 4.5.1 კოალიციის ფარგლებში იქმნება სამუშაო/საინიციატივო ჯგუფები თემატური ნიშნით ანდა პრობლემური საკითხების ირგვლივ. სამუშაო ჯგუფი შესაძლოა შეიქმნას გარკვეული ვადით ან უვადოდ. საინიციატივო ჯგუფი იქმნება გარკვეული დროით, კონკრეტული ადვოკატირების მიზნის მისაღწევად.
- 4.5.2 სამუშაო ჯგუფები იქმნება მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით ან/და კოალიციის არანაკლებ წევრთა 1/3 -ზე მეტის ინიციატივით. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას, ხმათა უბრალო უმრავლესობით, იღებს მმართველი კომიტეტი.
- 4.5.3 საინიციატივო ჯგუფები იქმნება მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით ან/და კოალიციის არანაკლებ 3 წევრიანი ჯგუფის ინიციატივით. საინიციატივო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას, ხმათა უბრალო უმრავლესობით, იღებს მმართველი კომიტეტი.
- 4.5.3. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს მმართველი კომიტეტი.
- 4.5.4. სამუშაო/საინიციატივო ჯგუფები ვალდებული არიან კოალიციის მმართველი კომიტეტს და კოალიციას მიაწოდონ ინფორმაცია სამუშაო / საინიციატივო ჯგუფების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ასევე მათ მიერ წამოწეული საკითხების ადვოკატირების გეგმებთან დაკავშირებით.
- 4.5.5. სამუშაო/ საინიციატივო ჯგუფი უნდა შედგებოდეს, სულ მცირე, 3 წევრისგან. სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს კოორდინატორი, რომელსაც ირჩევს სამუშაო ჯგუფი მისი წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- 4.5.6. სამუშაო/საინიციატივო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლოა ჯგუფის გადაწყვეტილებით ერთჯერადად ან ხანგრძლივად მოწვეული იყოს გარე ექსპერტი (ექსპერტები).
- 4.5.7 სამუშაო/საინიციატივო ჯგუფის ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სამუშაო ჯგუფისთვის დაფინანსების მოძიება სხვადასხვა წყაროდან. დაფინანსების წყაროს მოძიების ან არსებული წყაროს (დონორის) შემოთავაზების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მმართველი კომიტეტი .

#### **მუხლი 4.6. საკონსულტაციო საბჭო**

- 4.6.1. კოალიციის ფარგლებში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით საექსპერტო დასკვნის მომზადებისა და სტრატეგიულ მიმართულებაზე კონსულტაციების გაწევის მიზნით იქმნება საკონსულტაციო საბჭო.
- 4.6.2. საკონსულტაციო საბჭო შედგება კოალიციის მმართველი კომიტეტის მიერ არჩეული ერთი დამფუძნებელი წევრის წარმომადგენლისა და დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან.
- 4.6.3. საკონსულტაციო საბჭო შესაძლოა შეიქმნას გარკვეული ვადით ან უვადოდ.
- 4.6.4. საკონსულტაციო საბჭოს წევრებს ირჩევს კოალიციის მმართველი კომიტეტი ხმათა უბრალო უმრავლესობით.
- 4.6.5. საკონსულტაციო საბჭოს წევრად დამოუკიდებელი ექსპერტის წარდგენა შეუძლია კოალიციის ნებისმიერ წევრს ან ვაკანსიის შესახებ საჯარო განცხადების შემთხვევაში ნებისმიერ დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

### **თავი V საწევრო**

#### **მუხლი 5.1 საწევრო შენატანი**

- 5.1.1 კოალიციის წევრ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ საწევრო გადასახადის გადახდა, რათა გახდნენ კოალიციის სრულფასოვანი წევრები, ან შემდგომში შეინარჩუნონ წევრობა. კოალიციის წევრი და ასოცირებული წევრები კოალიციისთვის გაწეული სამსახურისთვის ანაზღაურებას არ მიიღებენ, გამონაკლისის სახით ჩაითვლება:
  1. კოალიციის სახელით ან/და მის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგი, სამუშაო შეხვედრა, კონფერენცია ან სხვა;
  2. კოალიციის სახელით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსება;
  3. მოპოვებულ გრანტებში, პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობა, განხორციელება და ყველა ის საქმიანობა, რომელიც გააძლიერებს როგორც კოალიციის საქმიანობას, ასევე მის წევრებს.

- 5.1.2. კოალიციის მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლოა საწევრო გადასახადისაგან დროებით განთავისუფლდეს კოალიციის წევრი ორგანიზაცია, რომლის ბაზაზეც ხორციელდება კოალიციის საქმიანობა;
- 5.1.3. კოალიციისთვის გაწეული მომსახურებისთვის, კოალიციის არაწევრი პირები მიიღებენ ანაზღაურებას ხელფასის სახით.
- 5.1.4. კოალიციის მიერ დასახული მიზნების მიღწევისა და საქმიანობის განხორციელებისათვის განისაზღვრება საწევრო შენატანი.
- 5.1.5. კოალიციის თითოეული დამფუძნებელი წევრი ორგანიზაცია ვალდებულია შეიტანოს საწევრო, წელიწადში 360 ლარის ოდენობით, წევრი ორგანიზაცია, ვალდებულია შეიტანოს საწევრო, წელიწადში 240 ლარის ოდენობით, ხოლო ასოცირებული წევრი ორგანიზაცია ვალდებულია შეიტანოს საწევრო, წელიწადში 120 ლარის ოდენობით.
- 5.1.6. აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ზედამხედველობს მმართველი კომიტეტი.
- 5.1.7. საწევროს ერთხელ გადაუხდელობა იწვევს გაფრთხილებას, ხოლო ზედიზედ ორჯერ გადაუხდელობამ შესაძლებელია გამოიწვიოს - ხმის უფლების დაკარგვა, ხოლო ზედიზედ ორზე მეტჯერ გადაუხდელობამ კოალიციიდან გარიცხვა. წევრის გარიცხვაზე საკითხის დაყენების უფლება აქვს მმართველი კომიტეტს
- 5.1.8. საწევრო შენატანი კოალიციის ანგარიშზე შეიტანება წლის განმავლობაში არაუგვიანეს საანგარიშო წლის 31 დეკემბრისა.
- 5.1.9. ს.ს თიბისი ბანკი; ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE54TB7742936080100001GEL; მიმღები: „კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის“.

## **თავი VI**

### **ინტერესთა კონფლიქტი**

#### **მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის განმარტება:**

1. კოალიციის საერთო კრებებზე საკითხების განხილვის დაწყებამდე კოალიციის წევრი ორგანიზაცია ვალდებულია წინასწარ განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვაში.
2. ინტერესთა კონფლიქტი არის ნებისმიერი სახის კერძო თუ საჯარო ურთიერთობა და/ან მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ორგანიზაციას და/ან მის რომელიმე წარმომადგენელს, რის გათვალისწინებითაც, ობიექტური დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პირი ვერ იქნება დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი. ინტერესთა კონფლიქტის წარმომქმნელი გარემოება შესაძლოა დაკავშირებული იყოს კერძო, პროფესიული, საზოგადოებრივ, ოჯახურ, ნათესაურ ან ნებისმიერი სხვა ნიშანთან თუ გარემოებასთან.

## **თავი VII**

### **კოალიციის წევრების ინფორმირება და კოალიციის გარე კომუნიკაცია**

#### **მუხლი 7.1. კოალიციის მიერ განხორციელებული გარე და შიდა კომუნიკაციის წესები**

- 7.1.1 კოალიციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კოალიციის წევრების დროულ ინფორმირებაზე პასუხისმგებელია მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე. უზრუნველყოფს კოალიციის წევრებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, წინასწარ, გონივრული ვადის დაცვით, უზრუნველყოფს კოალიციის წევრების ინფორმირებას კოალიციაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების, კოალიციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების და სხვა აქტივობების შესახებ. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე კოალიციის წევრებს დროულად და ეფექტურად აწვდის იმ ინფორმაციას, რომელსაც იგი გასავრცელებლად მიიღებს კოალიციის მმართველი კომიტეტისგან ან სამუშაო/საინიციატივო ჯგუფისგან.
- 7.1.2 კოალიციის წევრებისა და საზოგადოების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, ვებ გვერდისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.
- 7.1.3 მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს ვებ გვერდისა და სოციალური გვერდის გამართული ფუნქციონირება და მისი დროული განახლება.
- 7.1.4 ნებისმიერი სახის ინფორმაცია და განცხადება, რომელიც კოალიციის სახელით გავრცელდება, უნდა იყოს ქართულ ენაზე და დამატებით საჭიროების შემთხვევაში ინგლისურ ენაზე. ტექსტების

თარგმნა გონივრული ვადის დაცვით, მაგრამ არაუმეტეს 7 სამუშაო დღისა, უნდა უზრუნველყოს მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ.

#### **მუხლი 7.2. კოალიციის მიერ შექმნილი პროდუქტების საჯაროდ გავრცელების წესი**

- 7.2.1. კოალიციის ფარგლებში შესაძლოა მომზადდეს და კოალიციის სახელით საჯაროდ გავრცელდეს შემდეგი პროდუქტები: საგანმანათლებლო მასალები/რესურსები, კვლევები, საერთო განცხადებები, პეტიციები, მიმართვები;
- 7.2.2. მომზადებული პროდუქტის კოალიციის სახელით საჯაროდ გასავრცელებლად პროდუქტის ავტორ(ებ)ი მომზადებულ პროდუქტს უგზავნიან მმართველ კომიტეტს, რომელიც 5 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს და აძლევს თანხმობას ხმათა უბრალო უმრავლესობით, რის შემდგომაც მომზადებული პროდუქტი გასაცნობად გადაეგზავნება კოალიციის ყველა წევრს, რომელთაც ასევე ეძლევათ 5 სამუშაო დღე;
- 7.2.3. თუკი კოალიციის რომელიმე წევრი არ ეთანხმება მომზადებული პროდუქტის კოალიციის სახელით საჯაროდ გავრცელებას, მომზადებულ პროდუქტს ედება სპეციალური ტექსტი (ე.წ. „disclaimer“) რომელიც მიუთითებს, რომ მომზადებული პროდუქტი არ გამოხატავს კოალიციის წევრი რომელიმე ორგანიზაციის პოზიციას.

### **თავი VIII**

#### **ქონება**

#### **მუხლი 8. კოალიციის ქონება**

- 8.1. კოალიციას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2. კოალიციის ქონების და ფინანსური სახსრების წყაროს შეადგენს: კოალიციის წევრის (წევრების) შენატანები, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობანი, გრანტები და სხვა სახის კანონიერი შემოსავლები, რომლებიც მოიპოვება ორგანიზაციის მიერ მისი ამოცანების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
- 8.3. დაუშვებელია კოალიციის ქონების განაწილება კოალიციის წევრებს, მმართველი კომიტეტის წევრებს ან სპონსორებს შორის, ასევე ორგანიზაციის რესურსების არაკანონიერად გამოყენება.
- 8.4. კოალიციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

### **თავი IX**

#### **ორგანიზაციის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია**

#### **მუხლი 9. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია**

- 9.1. კოალიციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შესაძლებელია საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.2. ლიკვიდირებული კოალიციის ქონება უნდა გამოიხატოს ფულში და დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცემა მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს.
- 9.3. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

**თავი X**  
**დასკვნითი დებულებები**

**მუხლი 10. დასკვნითი დებულებები**

- 10.1. წესდების პირველი რედაქცია ძალაში შევიდა ყველა დამფუძნებელი ორგანიზაციის მიერ ხელმოწერის და კოალიციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით რეგისტრაციის მომენტიდან.
- 10.2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წინამდებარე წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.3. ამ წესდების რომელიმე ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება (ბათილად ცნობა), გავლენას ვერ იქონიებს მთლიანი წესდების იურიდიულ ძალაზე.
- 10.4. ბათილი დებულების ნაცვლად ან ხარვეზის შესავსებად შეთანხმებული უნდა იქნას შესაბამისი მოწესრიგება, რომელიც უფრო ახლოა კოალიციის წევრების ნებასთან, აგრეთვე შეესაბამება წესდების არსსა და მიზნებს. შეთანხმება ხდება წევრთა საერთო კრებაზე და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.